ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის მარტის 16	№ 5 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოკვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 47. ხეტყის მასალის ფასების შესახებ.

„ 48. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.

„ 49. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის შესახებ.

„ 50. საფეიქრო ნაკეთობის ფასების წანამატის შესახებ.

„ 51. ა/კ. რკ. გზით გადასაზიდი მალფუჭებადი ტვირთის გაციების ტარიფის შესახებ და გადაზიდვის გამოსაღებისაგან გრანტის განთავისუფლების შესახებ.

„ 52. ბათუმით საზღვარგარეგ გასაზიდი ნავთის პროდუქტების ადგილობრივი გადასახადის შესახებ.

„ 53. ა/კსფსრ-ში ბავშვთა დამხმარე კომისიების საწარმოოთათვის სასარეწაო გადასახადის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ.

„ 54. პაპიროსის საეტიკეტო ფასების შესახებ.

„ 55. მოსაწვევი წეკოს საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

„ 56. ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 57. სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ სადასაზღვეო გადასახადით შესული თანხებიდან მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში ანარიცხების გადაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, 1927 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

მთავლიტ № 1090. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 5120 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. თებერვლის 8.

47. ხეტყის მასალის ფასების დაწესების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. ყველა მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ ისეთი ნორმალური საბაზრო სპეციფიკაციის დახერხილი და რგვალი ხეტყის მასალის გაყიდვისათვის, რაც ა/კსფსრ ფარგლებში სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებიდან შემოიზიდება, დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წანამატი ყველა წარმოებითი ორგანიზაციის ძირითად ფასებზე, რაც დამტკიცებულია სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ:

ა) როდესაც ხეტყე გაიცემა ფრანკო-ვაგონი—წარმოების ადგილის უახლოეს სადგურზე ან ფრანკო-ბარჟა—უახლოეს ნავსაყუდზე,—$8^1/_2$%;

ბ) როდესაც ხეტყე გაიყიდება ფრანკო-ვაგონი—წარმოების ადგილის უახლოეს სადგურზე ან ფრანკო-ბარჟა—უახლოეს ნავსაყუდზე, ხოლო თვისებრივი და რაოდენობრივი ჩაბარება-კი მოხდება დანიშნულების ადგილას, ნავსაყუდზე ან სადგურზე,—უკიდურესი წანამატი დაწესებულ იქნეს $12^1/_2$%;

გ) როდესაც ხეტყე გაიცემა სახელმწიფო, კოოპერატიული და სავაჭრო ორგანიზაციის ისეთი საწყობიდან, რაც ხეტყის მოხმარების ადგილზეა, წანამატი დაწესებულ იქნეს 15%-ს რაოდენობით.

§ 2. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში წინადადება ეძლევათ შეიმუშაონ და გამოსცენ დადგენილებანი წიწვიანი ჯიშის ხეტყის მასალისა და ძელის საგასაცემო უკიდურესი ძირითადი საბითუმო ფასების შესახებ—ამ მასალისა და ძელის ყველა ადგილობრივი რესპუბლიკანური წარმოებითი, კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციის ფრანკო-ქარხანა და აგრეთვე—ფრანკო-ვაგონი—წარმოების ადგილის უახლოეს გაგზავნის სადგურზე გასაცემად.

§ 3. დაწესებულ იქნეს ამა დადგენილების მე-2 §-ს თანახმად განსაზღვრულ ფასებზე წანამატი ყველა წარმოებითი, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, როდესაც ხეტყის მასალა იმ პირობით გაიცემა, რომ იგი თვისებრივად და რაოდენობრივად ჩაბარებულ იქნება დანიშნულების სადგურზე.

§ 4. დაწესებულ იქნეს ამა დადგენილების მე-2 და 3 §-ში აღნიშნული ყველა ორგანიზაციისათვის უკიდურესი წანამატი საწარმოს ფასებზე ფრანკო-ქარხანა და ფრანკო-ვაგონ გაგზავნის სადგურისა, როდესაც დახერხილი და რგვალი ხეტყის მასალა გაიყიდება მოხმარების ადგილას მდებარე საწყობში.

§ 5. ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნული წანამატი მიიღება გამოუსვლელი ხეტყის გაცემის დროს. გამოსული ხეტყის გაცემის დროს-კი შეფარდებულ უნდა იქნეს დამატებითი წანამატი წინა მუხლებში გათვალისწინებულ წანამატებზე. დამატებითი წანამატის ნორმებს, მასალის სიხმელეს და მათი შეფარდების წესს განსაზღვრავს თვითეულ ცალკე შემთხვევაში შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში, როგორც ამა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი წარმოებითი ორგანიზაციებისათვის, ისე მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის.

§ 6. ყოველი სატრანსპორტო ხარჯი და დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და წყობილად დალაგების ღირებულება, რაც წინა პარაგრაფებში აღნიშნულ წანამატებს დაეთვის, ინგარიშება ნამდვილი ღირებულების რაოდენობით.

§ 7. ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნული უკიდურესი წანამატები გავრცელდება დახერხილ და რგვალ ხეტყის მასალაზე, ისეთი სპეციალური ხარისხისა, თვისებისა და გამოსულობის ხეტყის მასალის გამოკლებით, რაც გაკეთებულია განსაკუთრებული ტეხნიკური მიზნით.

§ 8. აღნიშნული უკიდურესი წანამატის რაოდენობა დაწესებულია ნაღდ ანგარიშგასწორების გარიგებისათვის; ხოლო, უკეთუ ხეტყე ნისიად იქნება გაყიდული, სანისიო ხარჯი მყიდველს მიეწერება.

§ 9. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში დააწესებენ თვითეული ცალკე პუნქტისათვის სატრანსპორტო ხარჯისა და დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და წყობილად დალაგების ხარჯების ნამდვილი ღირებულების რაოდენობას, და აგრეთვე—კონკრეტულ უკიდურეს ფასებს ყველა მოვაჭრე ორგანიზაციისათვის—ამა დადგენილების წინა პარაგრაფების საფუძველზე.

§ 10. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ ცალკე რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აორულებას.

§ 11. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1415 №-ში 1927 წ. მარტის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 7 აპ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მარტის 2.

48. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის—მარტის 8-ს—დღესასწაულის აღსანიშნავად შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ა/კუფსრ-ში უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. აღნიშნულ დღეს უნდა შეეფარდოს თითო შრომის კოლექტივის გახსნა აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში იმ უმუშევარი ქალებისათვის, რომელნიც შრომის ბირჟის აღნუსხვაზე ითვლებიან.

უკეთუ აღნიშნული დღისათვის კოლექტივის გახსნა შეუძლებელი იქნება, საჭიროა ორგანოები შეუდგნენ უმუშევარი ქალებისათვის შრომის კოლექტივის გახსნის საკითხის მომზადებასა და შემუშავებას იმ პირობით, რომ კოლექტივი გახსნილ იქნეს უახლოეს თვეებში.

2. აღსანიშნავია-რა, რომ უკანასკნელ ხანში ძლიერდება შრომის კოლექტივში უმუშევარ ქალთა დაჯგუფება, საჭიროა ეს მისწრაფება თანდათან განვითარდეს და უმუშევარი ქალები რაც შეიძლება უფრო ბლომად ჩაებნენ როგორც უკვე არსებულ, ისე ახლად მოსაწყობ შრომის კოლექტივებში. ამ მისწრაფებამ იქამდე უნდა მიაღწიოს, რომ შრომის კოლექტივების რიცხვი შეესაბამებოდეს იმ პროცენტულ თანაშეფარდებას, რაც უმუშევარ ქალთა და საერთოდ უმუშევართა შორის არსებობს.

3. რადგანაც უმუშევრობა ქალთა შორის უპირატესად ისეთ ჯგუფებშია გავრცელებული, რომელნიც ნაკლები კვალიფიკაციისა არიან და რომელთაც შრომის სტაჟი არა აქვთ, თანაც უმეტეს შემთხვევაში პირველად ჰკიდებენ შრომას ხელს,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ უმუშევარი ქალები ისეთ შრომის კოლექტივებში იყვნენ ჩაბმულნი, სადაც სწარმოებს უმუშევართა ხელახალი სწავლება და საერთოდ სწავლება.

4. რადგანაც განზრახულია ახლო ხანში მოზარდთა პროცენტული რაოდენობის შევსება ზოგიერთ საწარმოში, საჭიროა ყოველთვის, როდესაც-კი შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანო სამუშაოზე მოზარდებსა ჰგზავნის, მოზარდთა პროცენტული რაოდენობის წესით, რაც შეიძლება მეტი რიცხვი 14—17 წლის ქალებისა, ვინც-კი საშუამავლო ორგანოების აღნუსხვაზეა, ჩაბმულ იქნეს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში და ფაბრიკა-ქარხნების სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შრომის პირობების განსაკუთრებულ თვისებათა და ქალთა შრომის შესახები კანონმდებლობის პოპულიარიზაციის მიზნით საჭიროა შრომის დაცვის მუზეუმებში მუშა-ქალთათვის იმართებოდეს საუბრები ქალთა შრომის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1417 №-ში 1927 წ. მარტის 3-ს.

დადგენილება № 3 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

49. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შეადგინოს ხოლმე ყოველწლიურად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსი, რისთვისაც 1924-25 სამეურნეო წელიწადი უნდა მიიღოს პირველ საბალანსო წელიწადად.

2. სახალხო მეურნეობის 1924-25 წლის ბალანსი შედგენილ და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1927 წლის ივლისის 1-სა.

3. ყოველი, ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერატიული და კერძო დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო მოვალეა წარუდგინოს ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მის მიერ მოთხოვნილი, ყველა ის ცნობა რეალური კაპიტალების მდგომარეობისა, წარმოებისა და მოხმარების შესახებ, რაც-კი საჭიროა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ბალანსის შესადგენად.

4. სახალხო მეურნეობის 1924-25 წლის ბალანსის შედგენისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, მისი მმართველის თავმჯდომარეობით, მოიწყობა სპეციალური კომისია სათანადო სპეციალისტთაგან. კომისია შეიმუშავებს მუშაობის გეგმასა და პროგრამას და გადასწყვეტს მეტოდოლოგიურ საკითხებს, რაც-კი აღიძვრის ბალანსის შედგენასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კომისიის შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის წარდგენით.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1418 №-ში 1927 წ. მარტის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 7122 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 2.

50. საფეიქრო ნაკეთობის ფასების მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ-სა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. თებერვლის 19-ს თარიღისა და 30/ა №-რის დადგენილების თანახმად—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. ივლისის 31-ს თარიღისა და 38/94 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. საფეიქრო ნაკეთობის ბითუმად ვაჭრობისათვის სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განყოფილებებში ქალაქ ბაქოსა, ტფილისსა და ერევანში—დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატები სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სათანადო ტრესტების პრეისკურანტებზე:

საფეიქრო ნაკეთ. ჯგუფ. სახელწოდება.	როდესაც საქონელი სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერ. ეძლევა.			როცა საქონელი კერძო ცალობით მოვაჭრეს ეძლევა.		
	ბაქოში	ტფილ.	ერივ.	ბაქოში	ტფილ.	ერივ.
ბამბის ქსოვილი . . .	9,16%	9,98%	10,22%	9,66%	10,48%	10,72%
შალი, კამოლი, მაუდი .	6,35%	7,02%	7,63%	6,85%	7,52%	8,13%
სელი	5,95%	6,82%	7,43%	6,45%	7,32%	7,93%

2. ყოველგვარი ბოჭკოიანი საფეიქრო ნაკეთობის სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ტფილისისა, ბაქოს და ერევნის განყოფილებებიდან გაცემის დროს ხვეულების დანაწილებით (არა ბოხჩობით) სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს უფლება აქვს გადაახდევინოს მყიდველს,—ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული წანამატის გარდა,—ხვეულის გადალაგების ნამდვილი ღირებულება.

შენიშვნა. ხვეულის გადალაგების ღირებულების ფარგალს ადგილობრივ დაწესებს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მაუდისა, შალისა და საკამოლო ქსოვილის წვრილ-ბითუმად—ნახევარ-ნაჭრობით—გაცემის დროს სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს უფლება აქვს გადაახდევინოს მყიდველს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული დამატებითი წანამატის წანაფასი ტრესტების ფასის 0,25% რაოდენობით.

4. კოოპერატიული ცენტრების საწყობებიდან საფეიქრო ნაკეთობის ბითუმად და წვრილ-ბითუმად გაცემისათვის დაწესებულ იქნეს, გარდა ამა დადგენილების 1-ლი მუხ. დაწესებული წანამატებისა, დამატებითი წანამატი, ხოლო არა უმეტეს ტრესტების ფასის 4%-სა.

5. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განყოფილებებიდან ა/კსფსრ-ში საფეიქრო ნაკეთობის ბითუმად და წვრილ-ბითუმად გაცემის დროს (გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაცემის გამოკლებით) გარიგებათა დადებისა და რეგისტრაციის ყველა ფაქტიური ხარჯი მყიდველს მიეწერება.

6. ყველა ზემოაღნიშნული ბოჭკოიანი საფეიქრო ნაკეთობის (ამა დადგენ. 1-ლი მუხ.) ცალობით გაყიდვა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის საგასაცემო ადგილას და დუქანში უნდა სწარმოებდეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატით სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სათანადო ტრესტების პრეისკურანტებზე (ნეტტო):

საფეიქ. ნაკეთობის ჯგუფების სახელწოდება	ადგილის სახელწოდება	უკიდურ. წანამატი ტრესტების ფასებზე (ნეტტო)
(ბამბის ქსოვილი, სელი, შალი, მატყლი, ყდი, კამეოლი).	ა) ბაქოში	20, 5%
	ტფილისში	21,25%
	ერევანში	21, 5%
	სოხუმში	25%
	ბ) ა/კსფსრ სხვა ქალაქებსა და ადგილებში (აფხაზეთის გამოკლებით), რომლებიც ა/კ. რკ. გზის ხაზზე მდებარეობენ	24%
	გ) ა/კსფსრ ისეთ ქალაქებსა და ადგილებში, რომლებიც ა/კ. რკ. გზას დაშორებულნი არიან მანძილით:	
	25 კილომეტრამდე	25%
	50 კილომეტრამდე	26%
	50 კილომეტ. მეტი მანძილით . .	27%
	დ) აფხაზეთის ყველა ქალაქსა და ადგილს, ქალ. სოხუმის გამოკლებით . .	27%

7. დაეკალოს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში—ა/კ. რკინის გზის ხაზიდან 250 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ ადგილებისათვის დააწესოს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საფეიქრო ნაკეთობის ცალობითი ვაჭრობისათვის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატები, ხოლო არა უმეტეს ტრესტების ფასის 29%-სა.

ცენტრალური ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამა დადგენილების მე-6 და 7 მუხ. დაწესებული წანამატები ცალობითი ვაჭრობისათვის მაქსიმალურ-უკიდურესია და შეიცავს როგორც მანუფაქტურის ძირითადი მქონებელის საბითუმო წანამატს (ამა დადგ. 1-ლი მუხ.), ისე ყველა სხვა ხარჯს, რაც დაკაშირებულია საფეიქრო ნაკეთობის ცალობით ვაჭრობის ორგანიზაციასთან.

9. მანუფაქტურის გაყიდვის თაობაზე კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობასა—ერთის მხრით და მეორეს მხრით—სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს შორის ა/წ. მარტის 1-დან დადებულ ყველა საბითუმო გარიგებისათვის ანგარიშის გასწორება უნდა მოხდეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად.

10. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

11. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

12. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ქ. ქ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში ა/წ. მარტის 5-დან; ა/კ. რკინის გზის ხაზზე მდებარე ადგილებში—ა/წ. მარტის 10-დან; ხოლო ა/კსფსრ ყველა სხვა ქალაქსა და ადგილას—ა/წ. მარტის 15-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1419 №-ში 1927 წ. მარტის 5-ს.

დადგენილება ა.კ. რკინის გზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. მარტის 2. № 2.

51. ა/კ. რკინის გზით გადასაზიდი მალფუჭებადი ტვირთის გაციების ტარიფის შესახებ და გადაზიდვის გამოსაღებისაგან გრანიტის განთავისუფლების შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 64.

ა/კ. რკ. გზის მაცივარ დანადგამზე მალფუჭებადი ტვირთის გასაციებლად ტარიფის დაწესების შესახებ.

ა/კ. რკინის გზის კუთვნილ მაცივარ დანადგამზე, რომლის ექსპლოატაციასაც ეს გზა ეწევა, ისეთი ტვირთის გაციებისათვის, რაც მალე ფუჭდება, დაწესებულ იქნეს ტარიფი 24 მან. და 40 კაპ. რაოდენობით თითო ტონნა გაციებულ ტვირთზე (ან 40 კაპ. ფუთზე). ტარიფი ესე შემოიღება ერთის წლით დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 65.

ბამბაკისა და გელათის გრანიტის გადაზიდვის განთავისუფლების შესახებ საასაწონო გამოსაღებისაგან და გრანიტის დასატვირთად ვაგონების მიყენებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ.

ბამბაკის გრანიტის გადაზიდვის დროს ა/კ. რკ. გზ. ბამბაკის ასაქცევიდან ერევნისა, ტფილისისა და ბაქოს სადგურამდე, ხოლო გელათის გრანიტის გადაზიდვის დროს გელათის სადგურიდან ბათომისა და ტფილისის სადგურამდე გადამოსაღები აწონისათვის გადახდევინებულ არ უნდა იქნეს, უკეთუ ტვირთის გამგზავნელი პასუხისმგებლობას კისრულობს ტვირთის წონისათვის. გამოსაღები გრანიტით დასატვირთი ვაგონების მიყენებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს 50 კაპ. როდენობით ვაგონ-კილომეტრზე, უკეთუ ერთბაშად მიყენებული იქნება არა ნაკლებ ათი ვაგონისა ერთი ორთქლმავლით. ტარიფილესე სამოქმედოდ შემოიღება 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და დაწესდება 6 თვის ვადით დღიდან შემოღებისა.

ა/კ. რკ. გზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდ. მოადგილე **ასლანოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის მაგიერ—
ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1422 №-ში 1927 წ. მარტის 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

52. ბათუმით საზღვარგარეთ გასაზიდი ნავთის პროდუქტების ადგილობრივი გადასახადის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენენ:

1926 წ. აგვისტოს 9-ს დამტკიცებული „ადგილობრივი ფინანსების დებულების (კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 34 მუხლს დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა მე-4. ბათუმის პორტით საზღვარგარეთ გასაზიდი ნავთის პროდუქტები ბათუმიდან გატანის დროს დაიბეგრება რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის გადასახადით,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო წესისამებრ, ამასთანავე გადასახადი იმ აღნიშნული ნავთის პროდუქტებისა, რაც ბათუმში ნავთსადენით გადაიცემა, გამოიანგარიშება ამა დებულების 35 მუხლის წესისამებრ".

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მარტის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1423 №-ში 1927 წ. მარტის 10-ს.

დადგენილება № 103 აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1927 წ. თებერვლის 26/28.

53. ა/კსფსრ-ში ბავშვთა დამხმარე კომისიების საწარმოოთათვის სასარეწაო გადასახადის სფეროში შეღავათების გაწევის შესახებ.

თანახმად სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1927 წ. იანვრის 29 თარიღისა და 253 №-რის დადგენილებით მინიჭებული უფლებისა— იმ საწარმოთათვის შეღავათების დაწესების შესახებ, რომელთაც ა/კსფსრ-ში ბავშვთა დამხმარე კომისიები ინახავენ და რომელნიც გათვალისწინებულ არიან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წლის ოქტომბრის 1-ლის თარიღის დადგენილებაში,—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატ ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნენ სასარეწაო გადასახადით დაბეგვრისაგან ის სავაჭრო და სამრეწველო საწარმონი წლიური ბრუნვით არა უმეტეს 20.000 მან., რომლებზედაც არა ვრცელდება 1926 წ. აგვისტოს 13-ს კანონის 1-ლი მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტების მოქმედება (ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია" 1926 წ. სექტემბრის 11-სა, № 209 (2840), გვ. 5), და რომელნიც ა/კსფსრ-ში მოწყობილ არიან ბავშვთა დამხმარე კომისიების მიერ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღის დადგენილების წესით.

3. ბავშვთა დამხმარე კომისიების დანარჩენ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთ, რომელნიც განთავისუფლებულ არ არიან სასარეწაო გადასახადით დაბეგვრისაგან 1926 წლის აგვისტოს 13-ს კანონის 1-ლი მუხლისა და ამა დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილების 1-ლი მუხლის თანახმად, მიეცეს შეღავათი საპატენტო და სათანაბრო გამოსაღების განაკვეთის 25% რაოდენობით.

3. ამა დადგენილების 1-სა და 2 მუხლში აღნიშნული შეღავათები გავრცელდება ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ბავშვთა დამმმარე კომისიების საწარმოზე და აგრეთვე ისეთ საწარმოზე, რომელიც გახსნილ იქნება 1926 წ. აგვისტოს 13-ს კანონის 1-ლ მუხლში აღნიშნული უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. ოქტომბრის 1-დან.

შენიშანა. სასარეწაო გადასახადის ის თანხები, რაც ამა დადგენილებაში აღნიშნულ საწარმოთა მიერ უკვე გადახდილია 1926-1927 წლისათვის, არც დაიბრუნება, არც სხვა გადასახადის ანგარიშში არ ჩაირიცხება.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

გადასახადთა სამმართველოს უფროსი **დავიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1423 №-ში 1927 წ. მარტის 10-ს.

დადგენილება № 9124 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 8.

54. პაპიროსის საეტიკეტო ფასების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. იანვრის 7-ს თარიღის დადგენილების თანახმად,—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თვისი, 1926 წ. აპრილის 8-ს თარიღისა და 16/72 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მე-II ხარისხის „ა" და „ბ" პაპიროსისათვის სავალდებულო შეხვევა ას-ასი ცალობით, 25 ცალობით და ათ-ათი ცალობით.

2. მე-II ხარისხის „ა" და „ბ" პაპიროსის ოც-ოცი ცალობით სახვევში გამოშვება, რათა ეტიკეტთა მარაგი გამოყენებულ იქნეს, შეიძლება მხოლოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დე; ამ ვადის შემდეგ ასეთი პაპიროსის ბაზარზე გამოშვება სრულიად აღიკრძალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წლის აპრილის 8-ს თარიღისა და 16/72 №-რის დადგენილების დანარჩენი მუხლები ძალაში დარჩეს.

4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1424 №-ში 1927 წ. მარტის 11-ს.

დადგენილება № 3123 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 8.

55. მოსაწევი წეკოს საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. თებერვლის 28-ს თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. ივნისის 22-ს თარიღისა და 31/87 №-რის, დადგენილების გასაუმქებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ სსრკ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწეკოო ფაბრიკის მიერ გასაყიდად გამოშვებულ მოსაწევ წეკოს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი ფაბრიკის აღნიშვნით და წარწერით: „წონა—50 გრამი, ფასი—ექვს კაპიკ ნახევარი (6,5 კაპ.). ციმბირისა, შორეულ აღმოსავლეთისა, თურქმენისტანისა და ამიერკავკასიისათვის ფასი—7,5 კაპ. ამ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით".

შენიშვნა. ამიერკავკასიის ფაბრიკების წარმოების მოსაწევი წეკოს გასაყიდად გამოშვებისას, ის აღნიშვნები, რაც ამა დადგენილების 1-ლი მუხლითაა გათვალისწინებული და რაც აკლია ამიერკავკასიის ფაბრიკების მიერ გამოშვებულ წეკოს ეტიკეტს, შეიძლება შევსებულ იქნეს სათანადო შტამპის დასმით ან დაწებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო და წვრილ-საბითუმო საგასაცემო ფასები სსრკ ყველა ფაბრიკის ნაწარმოებ მოსაწევ წეკოზე, გამოუნაკლისად:

ა) ფრანკო-ვაგონი ფაბრიკის უახლოეს გამგზავნელ სადგურზე—1 ყუთი (20 კილოგრ.), აქციზის ჩათვლით,—21 მან. და 40 კაპ.;

ბ) ფრანკო-საწყობი, ფაბრიკის ფარგალის გარეშე,—21 მან. და 40 კაპ. პლიუს ფაბრიკიდან საწყობში საქონლის მისაზიდი ნამდვილი ხარჯი.

შენიშვნა. ა) როდესაც სრულიად რუსეთის წეკოს სინდიკატი, უკრაინის წეკოს ტრესტი და ცენტრალური კავშირი მიჰყიდის წეკოს ბითუმად ყველა ისეთ კოოპერატიულ ცენტრსა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელიც წეკოს ბითუმ ვაჭრობას აწარმოებს, მათ წეკო უნდა დაეთმოთ შელავათით, ამა დადგენილების მე-2 მუხ. დაწესებული საგასაცემო ფასის 1 პროც. რაოდენობით;

ბ) როდესაც წეკოს ყიდულობს ესა თუ ის კოოპერატიული ორგანიზაცია, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია, აგრეთვე მარტოოდენ ცალობით მოვაჭრე საწარმო და პირი, საგასაცემო ფასი ფრანკო-საწყობი გამყიდველისა შესდგება ცალობითი (საეტიკეტო) ფასისაგან მინუს მინიმუმ 10%-ნი მონაკლები.

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამ დადგენილების სისწორით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. ამა დადგენილების ის ნაწილი, რაც საბითუმო ფასებს ეხება, ძალაში შედის ა/წ. მარტის 5-დან, ხოლო ის ნაწილი, რაც ცალობითი ფასებს ეხება,—ა/წ. მარტის 15-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1424 №-ში 1927 წ. მარტის 11-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

56. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესის თაობაზე 1925 წ. ნოემბრის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ნოემბრის 9-ს დადგენილებას—სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 545) დაემატოს მე-2 მუხლის შენიშვნა, მე-5 მუხ. (რისგამოც აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლი გადაინომროს მე-8 მუხლად), მე-6 და 7 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 2. **შენიშვნა.** სააქციო საკრედიტო დაწესებულების წესდება შეიტანება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ". „მუხ. 5. სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდება დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ იმ ნიშნების მიხედვით, რაც აღნიშნულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილს 24-ს დადგენილებაში—სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცების და რეგისტრაციის წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 30 №-რი, მუხ. 195)". „მუხ. 6. სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) მომქმედი წესდების ცვლილებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომელსაც, ამა დადგენილების თანახმად, უნდა დაემტკიცებინა ამა თუ იმ საზოგადოების (ამხანაგობის) წესდება განზრახულ ცვლილებათა გულისხმობით. ის ცვლილებანი, რაც საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებას 1-ლ მუხლში აღნიშნულ ნიშნებს მოუსპობს, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ; ის ცვლილებანი, რაც წესდებას იმ ნიშნებს მოუსპობს, რომელიც აღნიშნულია სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 24-ს დადგენილებაში—სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ,—დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ეუთვნილებისამებრ". „მუხ. 7. ყველა სააქციო საზოგადოებას, რომელიც-კი დაარსებულია და რეგისტრაციაქმნილი ამა

დადგენილების წესისამებრ, უფლება აქვს იმოქმედოს ყველა ადგილას; იმ სააქციო საკრედიტო დაწესებულებისა და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) მოქმედების რაიონი, რომელსაც მიზნად საალმშენებლო მუშაობის წარმოება აქვს, განისაზღვრება მისივე წესდებით".

ბ) მე-3 და 5 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 20-ს დადგენილებისა—საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ ა/კსფსრ ტერიტორიაზე (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-რი, მუხ. 17) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მარტის 1. ტფილისი—სახახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1426 №-ში 1927 წ. მარტის 15-ს.

დადგენილება № 12 ამ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. თებერვლის 11.

57. სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ სადასაზღვეო გადასახადით შესული თანხებიდან მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში ანარიცხების გადაცემის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. იანვრის 27-ს თარიღისა და მე-10 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ სადასაზღვეო გადასახადით შესული თანხებიდან მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში ანარიცხების გადაცემის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრომის სახალხო კ-ტის სოც. დაზღვ.
მთავ. სამმართვ. უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

შეთანხმებულია ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან:

ა/კსფსრ ფინ. სახ. კ-ტის საბიუჯეტო სამმართვ. უფროსი **უზირია.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1426 №-ში 1927 წ. მარტის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. თებერვლის 27. № 10.

სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ სადასაზღვეო გადასახადით შესული თანხებიდან მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში ანარიცხების გადაცემის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს რწმენებულთა, სოციალური დაზღვევის საგზაო, წყალთა-სარაიონო და წყალთა-საგზაო სალაროებს.

ვიდრე დაწვრილებითი ინსტრუქცია გამოიცემოდეს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 31-ს დადგენილების შესაფარდებლად, რომელი დადგენილებითაც დაწესებულია ამავე დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიზნობრივი ზედნართი სოციალური დაზღვევის გადასახადებზე და ამ ზედნართიდან ანარიცხების გადადება მუშათა ბინების მშენებლობის ფონდის შესაქმნელად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. 19), სსრკ შრომის სახალხო კომისარიატ ადგენს:

1. სოციალური დაზღვევის ყველა ის ორგანო, რომელიც სადასაზღვეო გადასახადს ახდევინებს, მოვალეა გადარიცხოს მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში მის მიერ მიღებული სრული დაზღვევის გადასახადიდან 0,5 პროც. იმ სამუშაო ხელფასისა, საიდანაც გადასახადია შემოსული (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომის. საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 31-ს დადგენილების მე-3 მუხ.).

2. წინა მუხლში აღნიშნული ანარიცხების გადადება დროებით მოხდება: ა) სოციალური დაზღვევის ორგანოების განკარგულებაში ქონებული ფონდების ხარჯით—სამუშაო ხელფასის 0,2 პროც. რაოდენობით და ბ) დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის ფონდის ხარჯით—სამუშაო ხელფასის 0,3 პროც. რაოდენობით. უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული განაწილება შეცვლილ იქნა, ანგარიშის სათანადო ხელახალი გასწორება უნდა მოხდეს განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

3. სოციალური დაზღვევის ორგანოები მოვალენი არიან, ამა დადგენილების მიღებისთანავე, მოახდინონ 1-ლ მუხლში გათვალისწინებული ანარიცხების გადადება ყველა იმ თანხებიდან, რაც სადასაზღვეო გადასახადებით შესულა, და დანარიცხები სამუშაო ხელფასზე, რაც, დაწყებული 1926 წ. ოქტომბრის 1-დან, მიცემული აქვთ სრულის დაზღვევით დასაზღვევ პირთ. შემდეგში მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში გადასაცემი ანარიცხები გადაიდება შემოსული სადასაზღვო გადასახადების ფონდებად დანაწილებასთან ერთად.

4. ამა დადგენილების თანახმად მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში გადარიცხულ თანხებს სოციალური დაზღვევის ორგანოები შეიტანენ ფონდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე ანგარიშზე, რაც გახსნილ უნდა იქნეს სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის გადახდევინების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 18-ს თარიღითა და მე-4 №-რით გამოცემული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1927 წ. მე-3 №-რი) დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ.

5. დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის ფონდი, რაც ჯანმრთელობის ორგანოებს უნდა გადაეცეს, შემცირდება სამუშაო ხელფასის 0,3 პროც. რაცდენობით (ამა დადგენ. მე-2 მუხ.). 1927 წ. ოქტომბრის 1-დან დაწყებული დროის განმავლობაში (ამა დადგენ. მე-3 მუხ.) გაცემული ხელფასით შემოსული სადასაზღვეო გადასახადებიდან გადადებული ანარიცხების მიხედვით, რაც მუშათა ბინების მშენებლობის ფონდში გადაიცა, სოციალური დაზღვევის ორგანოები სათანადო თანხებს დაიკერენ დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის ფონდის მიმდინარე დროის შენატანიდან.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სოც. დაზღვ. ცენტრ. სამმართველოს უფროსი **ნემჩენკო.**

საფონდო განყოფ. გამგე **ფეიგელი.**

შეთანხმებულია სსრკ ფინ. სახ. კომისარიატთან: **კაზაკი.**

1927 წ. იანვრის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1426 №-ში 1927 წ. მარტის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა